| 05 05 01 | გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა | 20.0 |
| 05 05 02 | ქალთა ეკონომიკური გაძლიერება | 10,0 |
| 05 06 | მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება | 10.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 01** | | **1458.5** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო , ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კუბი ,,ღონე" | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ლშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.<br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.<br>განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მოზარდებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და სპორტის პოპულარიზაცია, სპორტულად აქტიური ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო" | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 01 04 03** | | **214.2** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში მოქმედებს ბავშვთა სამი ასაკობრივი გუნდი: U-13, U-15 და „ბახმარო-2“, რომელთა სპორტული მაჩვენებელი შემდეგ სურათს იძლევა: ასაკობრივი ჯგუფი U-13 ჩასატარებელი მატჩი 2023 წლისათვის-20 მატჩი, მიზანი-სამეულში მოხვედრა; ასაკობრივი ჯგუფი U-15. ჩასატარებელი 2023 წლისათვის-25 მატჩი, მიზანი-სამეულში მოხვედრა |
| მოსალოდნელი შედეგი | ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდეობის რაოდენობის გაზრდა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 01 05** | | **520,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ნისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ რტსმენებად ჩამოყალიბებას,მოეწყობა შეჯიბრებები :<br>- ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.<br>- ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.<br>- ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება.<br>- მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.<br>- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები.<br>- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.<br>- ტრადიციული დოღი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.<br>- აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.<br>- ბაზიერეობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები. | | |

| | |
|---|---|
| | - აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, კინგბოქსინგის, მხატვრული ტანვარჯიშის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს.<br>- |
| მოსალოდნელი შედეგი | დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონსძიებების მიმართ. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 06 | | 495.3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | - *ქვეპროგრამის მიზანია სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. სპორტული მოედნების მზადყოფნა დაგეგმილი და ჩასატარებელი მატჩებისათვის და ღონისძიებებისათვის.დაბაში გოგიბერიძის ქუჩაზე არსებული სტადიონის რეაბილიტაცია, სოფელ დაბლაციხის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია.* | | |
| მოსალოდნელი შედეგი | დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონსძიებების მიმართ. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტი** | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | 05 01<br>06 01 | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია | 50,0 |
| *ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი* | *ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის" ფორმირების წესის შესაბამისად ჩატარდა ხმის მიცემის პროცესი და გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი ,,საფეხბურთო მოედანი დაბის ცეტრში".*<br><br>*სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.*<br><br>*ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ჩოხატაურში მდებარე მინი-საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია, შეიცვლება ხელოვნური საფარი მაღალი ხარისხის საფარით, მოხდება საფეხბურთო კარებების რეკონსტრუქცია და შეღებვა, მოეწყობა კალათბურთის ფარები (2-2 კომპლექტი), პლასტმისის დასაჯდომი სკამები მოეწყობა ლითონკონსტრუქციაზე, დასაჯდომების წინ მავთულბადის ღობის მოწყობა, საფეხბურთო მოედანი შემოღობილია მავთულბადით და მოხდება მისი შეღებვა ანტისაპტიკური ზეთოვანი საღებავით. მოედნის გვერდით მოეწყობა გარე ტრენაჟორები და სასმელი წყლის სოკო.* | | |
| *მოსალოდნელი შედეგი* | *ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და დ.ჩოხატაურში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო*<br><br>*დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონსძიებების მიმართ.* | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი ,,ღონე" | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 07 | | 179,0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი ,,ღონე“ |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი ,,ღონე“<br>სარაგბო კლუბი ,,ღონე“ მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას. |
| მოსალოდნელი შედეგი | დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონსძიებების მიმართ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 02** | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | **2255,3** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისა და სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება.<br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმარული განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა გასართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 02 | | 1392,8 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:<br>- საშობაო, საახალწლო კონცერტი ,,შობის ჯადოსნური ღამე“ 6-7 იანვარი.<br>- წლის ნომინაციები 14 იანვარი.<br>- დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 3 მარტი.<br>- თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია 27 მარტი.<br>- ,,დღე სამაგალითო ერთობის“ 27 მარტი.<br>- დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 14 აპრილი.<br>- ღონისძიება ღია ცის ქვეშ - ,,აღდგომის კვირა“<br>- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 26 მაისი.<br>- ,,ვაჩუქოთ ბედნიერება ბავშვებს“ 1 ივნისი.<br>- ,,ვერეს ხეობის ტრაგედია“ - ივლიტა ჯიბუტის ხსოვნის საღამო 13 ივნისი.<br>- ,,შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“ 14 ივნისი.<br>- სპექტაკლის პრემიერა.<br>- ანსამბლებისა და სახალხო თეატრის გასვლითი კონცერტები სოფლებში<br>- ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება კურორტ ბახმაროში - 19 აგვისტო.<br>- ლოტბარ რამინ მიქაბერიძის საღამო.<br>- შემოდგომის ზეიმი.<br>- გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი 23 ნოემბერი.<br>- საანგარიშო კონცერტი.<br>- კონცერტი ღია ცის ქვეშ 31 დეკემბერი. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 09 | | 413,5 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები** |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მოსწავლეების მუსიკალურ ცოდნის გააღრმავება სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გააღრმავებენ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.<br><br>მოეწყობა:<br><br>- მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში ,,ზამთრის ვერნისაჟი<br>- მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვანთა კავშირის ,,ხელოვნება მომავლისათვის" ,,მომავლის ვარსკვლავები: მე-15 რესპუბლიკურ ფესტივალი შესარჩევ ტურში.<br>- მონაწილეობის მიღება ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო გამოფენა კონკურსში ,,ლიდიცე-2023“<br>- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და სარაიონო ღონისძიება<br>- სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი სინფონიურ ორკესტრთან ერთად<br>- კონკურსი ეტიუდების დაკვრაში<br>- გიორგობისადმი მიძღვნილი ღია  კონცერტი<br>- ღია საკარნავალო კონცერტი<br><br>- საქართველოს ხელოვანთა კავშირის ,,ხელოვნება მომავლისათვის"  ,,მომავლის ვარსკვლავები"მე-15 რესპუბლიკურ ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა.<br><br>- საგაზაფხულო ერთკვირიანი პლენერი ბუნებაში<br><br>- მონაწილეობის მიღება საქართველოს საგუნდო საზოგადოების , საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-6 ეროვნული კონკურსში.<br><br>- თბილისში კომპანია "კრეატივ-ივენთის" მიერ ორგანიზებულ ბავშვთა და მოზარდთა გამოფენაზე მონაწილეობა<br>- საქართველოს მოსწავლეთა 76-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია.<br>-<br>- პროექტი ,,მეგზური"ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურულ ძეგლებსა და ისტორიულ ადგილებზე ინფორმაციის მოძიება, შესწავლა.<br>- ,,ჩვენც დავბერდებით" საქველმოქმედო აქცია<br>- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და მუნიციპალური ღონისძიება |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაღრმავებულია მოზარდებში მუსიკალურ ცოდნა სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი** | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 02 10** | | **449,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლების განვითარება.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი განხორციელდება ღონისძიებები:<br>- საახალწლო ღონისძიება<br>- შეხვედრა ღვაწლმოსილ ადამიანებთან<br>- 25 თებერვალი - ოკუპაციის დღე<br>- ჩოხატაურში მცხოვრები მხატვრების კატალოგის გამოცემა<br>- რეწვის ნიმუშების გამოფენა ,,ფერისცვალება“<br>- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა<br>- კალანდა გურიაში<br>საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავშირებით<br>- საგანმანათლებლო ღონისძიება ,,წკეპლის ჭურჭელი“<br>- სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა<br>- საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავშირებით. | | |

| | |
|---|---|
| | - მთის საერთაშორისო დღე - ზემო გურიის მთიანი სოფლების ისტორია<br>- მოსე გოგიბერიძის საიუბილეო საღამო<br>- ნოდარ დუმბაძის იუბილე<br>- საჯარო ლექცია ერისთავების შესახებ<br>- საჯარო ლექცია ნიკო მარის სახლ-მუზეუმში.<br>- საუბრები მწერლის სახლ-მუზეუმში-შეხვედრა მწერლებთან.<br>მოხდება საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შეძენა, რაც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. |
| მოსალოდნელი შედეგი | დაცულია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 03** | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | **60,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება.<br><br>ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.<br><br>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას. | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები დაფინანსებულია.<br>გაზრდილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ღონისძიებებში ჩართულობა და უზრუნველყოფილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 03 01** | **ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა** | **30,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება.<br>ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა;<br>ახალგაზრდების იდეების კონკურსისათვის ყოველწლიურად დაფინანსების გამოყოფა;<br>ახალგაზრდული სივრცის ტექნიკით აღჭურვა;<br>ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ფესტივალის ორგანიზება;<br>ღონისძიებების ორგანიზება ადმინისტრაციულ ერთეულებში;<br>არასამთავრობო სექტორთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, კერძო სექტორთან თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა;<br>დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების მიმართულებით ტრეინინგ კურსების ორგანიზება;<br>ლექცია სემინარების ჩატარება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა შესრულებულია. |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 03 02** | **საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **30,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაზრდილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ღონისძიებებში ჩართულობა და უზრუნველყოფილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05 04** | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **10.0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია** | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.<br><br>პროგრამის ფარგლებში მოხდება შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. |
| მოსალოდნელი შედეგი | ნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ნანსური მხარდაჭერა. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 05 | **გენდერული თანასწორობა** | 30,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა<br><br>ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა.<br><br>მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შემუშავება და განხორციელება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების | | |

| | |
|---|---|
| | მიზნით პროექტების დაფინანსება, გენდერული, ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია(25 ნოემბერიდან 10 დეკემბრამდე), ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდა, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ადრეული ქორწინების პრევენცია, საკითხები რასაც მოიცავს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა განხორციელებულია, გენდერული თანასწორობა ხელშეწყობილია |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
| | **05<br>05 01** | **გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა** | **20,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა.<br>მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების | | |

| | |
|---|---|
| | უზრუნველსაყოფად გაწევა(ტრანსპორტირება, ჯილდოების, წარმომადგენლობითი, ორგანიზაციული).<br>გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის (25 ნოემბერი 10 დეკემბერი) ფარგლებში ღონისძიებების და შეხვედრების ჩატარება. |
| მოსალოდნელი შედეგი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა ეფექტურია, მოქალაქეთა ცნობიერება ამაღლებულია. ტრენინგები, შეხვედრები, დისკუსიები ჩატარებულია. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩატარებულია.გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის (25 ნოემბერი 10 დეკემბერი) ფარგლებში ღონისძიებებისა და შეხვედრების ჩატარებულია. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **05<br>05 02** | **ქალთა ეკონომიკური გაძლიერება** | **10,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია** | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | • ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით კონკურსის გამოცხადება ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის, სადაც ისინი კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას.<br>• 2022 წელს ჩატარებული შშმ პირების დედების ფოკუს ჯგუფების კვლევის საფუძველზე შშმ პირთა დედებისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის დაფინანსება, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 1 500 (ათასხუთასი) ლარისა. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალები, მათ შორის შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერება ხელშეწყობილია, კონკურსი ჩატარებულია. | | |
| პროგრამის დასახელება | კოდი | მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირება | დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 06 | | 10,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები. ქვეპროგრამის მიზანია ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის 2024 წლის ციკლისთვის, საინფორმაციო კამპანიის, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის, სამოქალაქო ბიუჯეტის საორგანიზაციო და ხმის მიცემის პროცესების ეფექტურად განხორციელება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში | | |

## მუხლი 20. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1514,0** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის პროექტი |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1514,0 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა | 170,0 |
| 06 01 02 | კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღინიაძიებების დაფინანსება( თანადაფინანსება) | 30.0 |
| **06 02** | სოციალური პროგრამები | 1314.0 |
| **06 02 01** | დაკრძალვის ხარჯი | 1.5 |
| **06 02 03** | სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი | 194.6 |
| **06 02 04** | დევნილთა დახმარება | **11.0** |
| **06 02 05** | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება | **21.5** |
| **06 02 06** | სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი | 520,0 |
| 06 02 06 01 | სამოქალაქო ბიუჯეტი სოციალური ცვლილებებისათვის | 35,0 |
| **06 02 07** | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 291.5 |
| 06 02 08 | ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა | 10,0 |
| **06 02 09** | სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება | 228.9 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 01** 01 | **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა** | 170,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. | | |

| | |
|---|---|
| | პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:<br><br>არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის უსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;<br><br>დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. იდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი აგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;<br><br>მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;<br><br>სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და უნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის უმჯობესება;<br><br>ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები აავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან ილება;<br><br>მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის ნიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით უნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები. ორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დეზიფენქციო და სხვა სამუშაოების<br><br>ჩატარება. |
| მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები დაავადებების პრევენცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვა. |
| | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღონისძიებების დაფინანსება; თანადაფინანსება. | დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 01 02 | | 30,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | .მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსებას გაუწევს კორონა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩასატარებელ ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს ინფექციის მართვას და ნაკლებ გავრცელებას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში ეპიდემიისაგან დაცული მოსახლეობა | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალური პროგრამები | დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 | | 1314.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა.<br><br>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ მიზნობრივი ტრანსფერით, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. | | |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **დაკრძალვის ხარჯი** | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 01** | | **1.5** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მონაწილე ვეტერანებისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებისა ა ასევე საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი** | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 03** | | 194.6 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური** | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება.<br>ქვეპროგრამით გათვალიწინებულია დახმარება გაეწიოს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, ერთ ბენეფიციარზე გამოიყოფა 500 (ხუთასი) ლარიდან 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.. ბინის ქირა 150 ლარი თვეში (უბინაოდ და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მოქალაქებისათვის). |
| მოსალოდნელი შედეგი | ახმარება გაეწია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | დევნილთა დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 04** | | **11.0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით დახმარება ეძლევა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შეძენაზე. 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 300 ლარისა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ხმარება გაეწია სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების დახმარება, შეძენილია ზამთრისთვის სათბობი საშუალებები და გაწეულია დევნილთათვის ფულადი დახმარება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 05** | | **21.5** |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეძლევა 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, აფხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი ერთი მეომრის ერთ ოჯახს ყოველთვიურად 300 ლარი, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი. |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მოწამლულს ყოველთვიურად 150 ლარი, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, ხაზეთის დაცემის დღესათან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 06** | | **520,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:<br><br>ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის საკვების შეძენა<br><br>სოციალურად დაუცველი 65000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წელზე მეტი ასაკის პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება.<br><br>0-დან 18 წლამდე ასაკის გულით თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკით) ეპილეფსიით, ლეიკემიით, ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა სტაციონალური მკურნალობის ხარჯის თანადაფინანსება. | | |

| | |
|---|---|
| | ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;<br><br>0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება მედიკამენტების შესაძენად.<br><br>მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.<br><br>სოციალურად დაუცველი 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირების მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების თანადაფინანსება.<br><br>0-დან 18 წლამდე ასაკის პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.<br><br>2-დან 16 წლამდე ბავშვებში აუტიზმის დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება.<br><br>მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანების და 0-დან 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე საქართველოს თავისუფლლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე პირების სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ღირებულების დაფარვა.<br><br>18 წელზე მეტი ასაკის შშმ პირების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსებით უზრუნველყოფა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ფინანსებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სამოქალაქო ბიუჯეტი სოციალური ცვლილებებისათვის | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **06 02 06 01** | | **35,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფორმირების წესის შესაბამისად ჩატარდა ხმის მიცემის პროცესი და გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი ,,მამოგრაფიაზე დაფუძნებული უფასო სკრინინგ პროგრამის დანერგვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის“. სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, | | |

| | |
|---|---|
| | რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები პროექტის მიზანია მკერდის კიბოს სკრინინგის პროგრამის დანერგვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სადაც რეგიონში მცხოვრებ ქალებს ექნებათ შესაძლებლობა უფასოდ ჩაიტარონ დიაგნოსტირება და თავიდან აირიდონ მკერდის კიბოთი გამოწვეული ავადობა. სკრინინგის დანერგვისათვის, პროექტის ფარგლებში მოხდება მამოგრაფიის აპარატის შეძენა და განთავსება ,,შპს ჯანმრთელობის სახლი გურიაში" არსებულ, წინასწარ უსასყიდლოდ დროებით საკუთრებაში გადმოცემულ ფართში.(სამოქალაქო ბიუჯეტი) |
| მოსალოდნელი შედეგი | ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში, გაუმჯობესებულია სამედიცინო მომსახურება და უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისათვის ძუძუს კიბოს პრევენცია. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 07** | | **291.5** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი პროგრამები:<br><br>ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება.<br><br>მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება.<br><br>თირკმლის უკმარისობით დაავადებული დიალეზზე მყოფი პირების ყოველთვიური დახმარება.<br><br>100 წელს მიღწეული და გადაცილებულ ხანდაზმულისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება.<br><br>0-დან 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება<br><br>0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების კომუნალური გადასახადებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება.<br><br>მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება; | | |

| | |
|---|---|
| | მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება<br><br>ჰემოფილიით დაავადებულ პირთა დახმარება<br><br>განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა ფინანსური დახმარება.<br><br>სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, გასულ პირთა დახმარება<br><br>ცილაგამოცლილი პროდუქტების საჭიროების მქონე პირების დახმარება;<br><br>მიმდინარე წლის იანვრის თვეში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციის გაცემა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისა და ბავშვების ფინანსური დახმარება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ქალთა და ოჯახების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა** | დაფინანსება ათას ლარში |
| | **06 02 08** | | **10,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური** | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოხდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, მოეწყობა ძალადობის წინააღმდეგ კვირეული. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ხელშეწყობილია. | | |

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td rowspan="2">სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტ. საგანმანათლებლო სფეროს ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება</td><td>დაფინანსება ათას ლარში</td></tr>
<tr><td>06 02 09</td><td>228.9</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="3">ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="3">.მუნიციპალიტეტის მერის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით იურიდიული პირების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი წარმოდგენილი პროექტები.<br><br>ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება;<br><br>დაფინანსდება წითელი ჯვარი;<br><br>ქალები ქალებისათვის საინიციატივო შეხვედრები გურიაში;<br><br>ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა.<br><br>ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალთა დაფინანსება.<br><br>შინ მოვლის პროგრამა.<br><br>ყველა ასაკის შშმ პირთა მდგომარეობის შესწავლა და დასვენება მთისა და ზღვის კურორტებზე.</td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="3">დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალური პრობლემების მქონე მიზნობრივი ჯგუფები და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამები</td></tr>
</table>

## თავი III.

## მუხლი 21. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის ასიგნებები

| ორგანიზაციული კოდი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის 9 თვის ფაქტი | | | 2023 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკუთარი | სახ. ბიუჯეტი | სულ | საკუთარი | სახ. ბიუჯეტი |
| | *სულ ჯამი* | *17394.8* | *15117.0* | *9066.5* | *6050.5* | *30606.7* | *15174.8* | *15431.9* |
| | *მომუშავეთა რიცხოვნობა* | *160.0* | *168.0* | - | - | *194.0* | - | - |
| | ხარჯები | 9687.2 | 9827.5 | 8577.5 | 1250.0 | 15345.6 | 13977.2 | 1368.4 |
| | შრომის ანაზღაურება | 4848.9 | 5210.0 | 4627.1 | 582.9 | 8381.2 | 8136.60 | 244.6 |
| | საქონელი და მომსახურება | 3249.4 | 3337.1 | 2702.6 | 634.5 | 5390.4 | 4301.6 | 1088.8 |
| | პროცენტი | 42.9 | 21.7 | 21.7 | 0.0 | 35.0 | 35.0 | 0.0 |
| | სუბსიდიები | 159.9 | 179.1 | 179.1 | 0.0 | 278.9 | 278.9 | 0.0 |
| | გრანტი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 725.6 | 638.1 | 629.7 | 8.4 | 870.4 | 855.4 | 15.0 |
| | სხვა ხარჯები | 660.5 | 441.5 | 417.3 | 24.2 | 389.7 | 369.7 | 20.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7624.7 | 5248.0 | 447.5 | 4800.5 | 15178.1 | 1114.6 | 14063.5 |
| | ვალდებულებების კლება | 82.9 | 41.5 | 41.5 | 0.0 | 83.0 | 83.0 | 0.0 |
| **01 00** | **საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა** | **2934.6** | **3039.0** | **2568.3** | **470.7** | **4976.8** | **4846.8** | **130.0** |
| | *მომუშავეთა რიცხოვნობა* | 160.0 | 168.0 | | | 194.0 | | |
| | ხარჯები | 2849.6 | 2989.0 | 2518.3 | 470.7 | 4658.8 | 4528.8 | 130.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 2054.6 | 2205.8 | 1735.1 | 470.7 | 3588.5 | 3458.5 | 130.0 |
| | საქონელი და მომსახურება | 630.8 | 643.2 | 643.2 | 0.0 | 908.3 | 908.3 | 0.0 |
| | პროცენტი | 42.9 | 21.7 | 21.7 | 0.0 | 35.0 | 35.0 | 0.0 |
| | სუბსიდია | 1.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 26.8 | 20.2 | 20.2 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 |
